

ხელშეკრულება

15.09.2018

ქ. თბილისი

ერთის მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის მავა ბერიძის სახით (შემდგომში „შემკვეთი“) და მეორეს ფერმერი, მცხოვრები ახალციხის რაიონი სოფ. მინაძეში, გიორგი ზედგენიძე სახით, (შემდგომში „შემსრულებელი“), ვთანხმდებით და ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აგრონომიის მიმართულების კვლევის (ხაზვის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში) შედეგების დანერგვა ფერმერულ მეურნეობებში.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემკვეთი იღებს ვალდებულებას:

- შემსრულებელს მიაწოდოს ხაზვის თესვა-მოყვანის ტექნოლოგიური რუკა;
- გააკეთოს ნიადაგის ანალიზი რომლის მიხედვით გაუანგარიშოს მინერალური სასუქების შესატანი ნორმები;
- საჭიროების მიხედვით შეუდგინოს მავნებელ დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;ს სქემა
- ჩაუტაროს მონიტორინგი ფერმერის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს;

2.2 შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას:

- შემკვეთის მიერ მიწოდებული ხაზვის თესვა-მოყვანის აგროტექნოლოგია დანერგოს მის ფერმერულ მეურნეობაში;
- პერიოდულად დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ ჩატარებულ სამუშაოების შესახებ.

2.3 თუ შესრულებელი სამუშაო არადაამაკმაყოფილებელია, შემსრულებელი ვალდებულია აღმოფხვრას ნაკლი შემკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემკვეთს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება.

3. სხვა პირობები

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე;

3.2 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით;

3.3 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.3 ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს;

3.4 ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

დამკვეთი

შემსრულებელი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

ფერმერი

უნივერსიტეტი

გიორგი ზედგენიძე

ახალციხე, რუსთაველის N 106

ტ.55 60 67 86

ხელმოწერა

[Handwritten signature]



ხელმოწერა

[Handwritten signature]